# ლელო

№ 16
(11 268)
2 - 4 მარტი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ახალი ამბები სფფ-დან

### კოპალეიშვილის ნაკრების საქმე აეწყო

18-წლამდე ფეხბურთელთა საქართველოს ნაკრები, რომელსაც ვახტანგ კოპალეიშვილი უდგას სათავეში, ევროპის შესარჩევი მატჩების წინ შეკრებას გაივლის თურქეთში და გერმანიაში. ანტალიაში ჩვენები 14-26 მარტს დაჰყოფენ ჩეხებთან მატჩის წინ, შემდეგ კი საარბრიუკენში აპრილში ერთკვირიან შეკრებას ჩაატარებენ, რის შესახებ თანხმობა განაცხადა გერმანიის მხარემ. მიმდინარეობს მუშაობა აქ სპარინგპარტნიორთა გამოსაძებნად. ანტალიაში კი ყველაფერი გარკვეულია, ჩვენი ნაკრები იქვე ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს თურქეთის გუნდებთან.

იხ. მე-2 გვ.

## საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე

### ხერგიანი და დავითაშვილი მედლებით ბრუნდებიან


ნესტორ ხერგიანი

გერმანიაში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში საქართველოს წარგზავნილთაგან ასპარეზობის პირველ დღეს ვერცხლის მედალი მოიპოვა ნესტორ ხერგიანმა, მესამე იყო ალექსი დავითაშვილი.


ალექსანდრე დავითაშვილი

### ვიტალი მამნიაშვილის იწყებს...

საქართველოს წყალში მხტომელთა სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებლად შეიძლება მოგვევლინოს 11 წლის ვიტალი მამნიაშვილი, რომელიც ლილოდანაა და მწვრთნელების მამა-შვილ ბართაიების ხელში ოსტატდება. ათენიდან მივიღეთ ცნობა, რომ იქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „ვირჯინიის თასზე“ ვიტალიმ მესამე ადგილი დაიკავა 1-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში.





## ჩვენმა ლეგიონერებმა — შოთა არველაძემ (ზედა ფოტოზე) და თემურ ქეცბაიამ თავიანთ კლუბებში წარმატებით ითამაშეს

იხ. მე-5 გვ.

## საქართველო 64
## იტალია 105

იხ. მე-2 გვ.



## „თურქულის“ ვირუსი?

რალაცისა და სასწაულის იმედად დიდ სპორტში, ისეთ დონეზე, რა სიმაღლეზეც ჩვენი ეროვნული კალათბურთი გავიდა (და არა ავიდა), ვერანაირ წარმატებას ვერ მოიპოვებ. ამის ნათელი დასტურია საქართველოს ეროვნული ნაკრების 10 წაგება 10 შეხვედრიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. მიზეზები იგივეა, რაც საერთოდ ქართულ სპორტს სჭირს გალატაკებულ ქვეყანაში.

იხ. მე-2 გვ.

## ტურნირში პირველი ჯილდო

ევროპის ჩემპიონატში წარმატების შემდეგ სუმოს ქართველი ოსტატები ამიერიდან საერთაშორისო ტურნირებშიც გამოცდიან ძალებს. ჩვენმა ფედერაციამ ამჯერად რამდენიმე სპორტსმენი მიავლინა გერმანიის ღია პირველობაში, რომელიც ამავე დროს საერთაშორისო ტურნირიც იყო. თბილისელმა ლევან ებანოიძემ, რომელსაც გულშემატკივრები თავისუფალი ჭიდაობიდან იცნობდნენ, გერმანიაში ორი ვერცხლის მედალი მოიგო — ერთი მძიმე წონაში, ერთიც — აბსოლუტურში. ასე რომ, ჩვენმა სუმოს ათლეტებმა საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული ჯილდოების ათვლაც დაიწყეს.

## ლეილა მესხის ნიჭის ახალი ასპარეზი

იხ. მე-2 გვ.



## დაჯილდოება

სპორტულ ჟურნალისტიკაში თვალსაჩინო მოღვაწეობის, საფეხბურთო საქმიანობის საკითხებზე მაღალპროფესიული, გაბედული პუბლიკაციებისათვის, რომლებმაც მნიშვნელოვანი პოზიტიური როლი შეასრულეს ფეხბურთში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლის ძიების გზაზე, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ სპორტული მიმომხილველი **ზურაბ რცხილაძე** დაჯილდოებულია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით.

* * *

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, დეპარტამენტის პრეს-სამსახური და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ულოცავენ ბატონ **ზურაბ რცხილაძეს** პროფესიულ ჯილდოს.

## მილოცვა

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ მაღალი ჯილდოთი — ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოებას ულოცავს გენერალ-მაიორს, წარსულში ცნობილ ფალავანს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **გივი ყვარელაშვილს.**

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

### XVI ტური

**«ვიტ-ჯორჯია» (თბილისი) — «დინამო» (ბათუმი) 0-0**

*ვიტ-ჯორჯია:* ჭურაძე, ჭოხონელიძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ერაძე, კაპანაძე, ზვ. გვაზავა, კ. ალადაშვილი, გოჩაშვილი, გრ. გვაზავა (გვირჯიშვილი, 81), გ. ქორიძე.

*დინამო:* ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, მაჭუტაძე, მაქაცარია, რუსია.

*გააფრთხილეს:* ზვ. გვაზავა, მაჭუტაძე

*მსაჯი:* დ. სანაია (სოხუმი)

როგორც ჩანს, მოსამზადებელმა პერიოდმა „ვიტ-ჯორჯიასათვის“ ნაყოფიერად ჩაიარა. მასპინძლებმა ყველაფერი გაიღეს ზღვისპირელთა დასამარცხებლად, მაგრამ ალბათ გამოუცდელობის გამო საწადელს ვერ მიაღწიეს.

პირველ წრეში ბათუმელები შინ დამარცხდნენ „ვიტ-ჯორჯიასთან“, რაც გუშინდელი მატჩის წინ ერთობ გვაიმედებდა, რომ „არმაზზე“ საკმაოდ საინტერესო თამაშის მოწმენი გავხდებოდით. მოლოდინი კი არ გამართლდა – დინამოელებს ძირითადად თავდაცვა უხდებოდათ, მწვავე კონტრშეტევები იშვიათად თუ გამოსდიოდათ, და რეალური საგოლე მომენტი ვერც შეუქმნეს ჭურაძის კარს, სერიოზულად მხოლოდ დაემუქრა ვიტელთა გოლკიპერს თავურით, რომელიც მიზანს ააცდინა. „ვიტ-ჯორჯია“ უდავოდ ქების ღირსია – მან ორი ქულა აართვა X ეროვნულში ჩვენს ერთ-ერთ გრან-კლუბს. „არმაზზე“ გუშინ პირწმინდად ერთი გუნდი დომინირებდა. მასპინძელთა უპირატესობა ათლეტიზმში, აგრესიულობაში და სისწრაფეშიც თვალშისაცემი იყო, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და გუნდებიც მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ისე კი, გ. ქორიძეს შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო, (იგი მინდორზე მართლაცდა საუკეთესო იყო), როცა პირველი ტაიმის მიწურულს ერაძის ჩაწოდებულ ბურთს მარჯვენა ფლანგიდან შეეგება მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ტოგონიძის კარი ძელმა იხსნა.

დათო თავართქილაძე

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ.) | 15 | 12 | 3 | 0 | 50-8 | 39 |
| 2. ტორპედო | 16 | 12 | 2 | 2 | 43-14 | 38 |
| 3. კოლხეთი-1913 | 16 | 8 | 4 | 4 | 35-26 | 28 |
| 4. ლოკომოტივი | 16 | 6 | 10 | 0 | 19-7 | 28 |
| 5. დილა | 16 | 17 | 4 | 5 | 24-21 | 25 |
| 6. დინამო (ბთ.) | 16 | 6 | 6 | 4 | 23-14 | 25 |
| 7. მერანი | 16 | 4 | 8 | 4 | 15-17 | 20 |
| 8. იბერია | 16 | 5 | 4 | 7 | 26-31 | 19 |
| 9. არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19-25 | 18 |
| 10. ოდიში | 16 | 5 | 2 | 9 | 12-25 | 17 |
| 11. სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-33 | 16 |
| 12. გორდა | 16 | 3 | 7 | 6 | 12-21 | 16 |
| 13. ვიტ-ჯორჯია | 16 | 5 | 2 | 9 | 15-17 | 15 |
| 14. სამგურალი | 16 | 4 | 2 | 10 | 14-33 | 14 |
| 15. თსუ | 16 | 3 | 4 | 9 | 14-23 | 13 |
| 16. გურია | 16 | 3 | 2 | 11 | 18-40 | 11 |

*„ვიტ-ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

„არსენალის“ და „დინამო“ (თბ.) მატჩი დღეს, 2 მარტს, გაიმართება.

## II თვის მონაგარი

### თებერვლის „ეკონომიკურ სუსხს“ გადავურჩით, შემდეგ...

თებერვალი ყველა სტილის მოჭიდავეთათვის მნიშვნელოვანი შეჯიბრებების თვე გამოდგა. ირანის, თურქეთის და პარიზის ტურნირებმა წარმატებებიც მოგვიტანა და იმედგაცრუებაც. ძიუდოისტებმა მოსკოვისა და პარიზის ტურნირების შემდეგ ჯერ ავსტრიაში გადაინაცვლეს, სადაც რევაზიშვილი და ჩოჩიშვილი გამარჯვებულები გამოვიდნენ, გუგავამ და დავითაშვილმა – მეორე, ჯიქურაულმა კი მესამე ადგილები დაიკავეს. შემდეგ გერმანიის ტურნირში ჩაებნენ. აქ ხერგიანმა ვერცხლის, დავითაშვილმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აღსანიშნავია ნინო სალუქვაძის წარმატება (ოქროს ორი მედალი) მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში, თანამედროვე ხუთჭიდელ დავით ჭულუხაძის მესამე ადგილი უკრაინის ღია პირველობაში, ჭაბუკ წყალბურთელთა წარმატება რუსეთის ღია პირველობაში, სადაც მათ ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს და კრივში ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირში ჩვენების მიერ დამსახურებ-

იხ. მე-2 გვ.

# ლეილა მესხი – ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი



ის, რომ სპორტულ ფედერაციებში საქმის მცოდნე და ავტორიტეტული ხელმძღვანელები მოდიან, ცხადია, მისასალმებელია. მით უფრო, როცა სპორტის ელიტარული სახეობის პრეზიდენტად ირჩევენ ისეთ სახელოვან ჩოგბურთელს და ორგანიზატორს, როგორიცაა ლეილა მესხი. მისი პრეზიდენტად არჩევა ამ დღეებში გადაწყდა ყრილობაზე, რომელიც ძირითადად მიეძღვნა ფედერაციების ხელახალი რეგისტრაციისათვის კანონის მოთხოვნების შესაბამისად წესდების ახალი რედაქციის შემუშავებას. მას შემდეგ, რაც წესდებაში შეიტანეს სათანადო ცვლილებები, ყრილობაზე განიხილეს ფედერაციის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის მერაბ ადეიშვილის განცხადება, რომელმაც კოლეგებს თხოვნით მიმართა მოუცლელობის გამო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, რაც ყრილობამ დააკმაყოფილა.

ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხის დასმისას წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა და სპეციალისტმა თეიმურაზ კაკულიამ მოითხოვა პრეზიდენტის არჩევა ორი თვით გადაედოთ. მისი აზრით, აუცილებელი იყო დრო ფიქრისათვის. ეს წინადადება კენჭისყრაზე დააყენეს, მაგრამ არ გავიდა. დასახელდა ლეილა მესხისა და ფედერაციის აღმასკომის წევრის ლევან რაზმაძის კანდიდატურა. ამ უკანასკნელმა აღარ ისურვა კენჭისყრაში მონაწილეობა და ლეილა მესხს დაუჭირა მხარი. ყრილობამ იგი ერთხმად აირჩია პრეზიდენტად.

თანამდებობიდან განთავისუფლება ითხოვა აგრეთვე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ემზარ ზენაიშვილმა, მაგრამ ლეილა მესხის თხოვნით, იგი კვლავ გააგრძელებს დაკისრებულ ფუნქციას.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანსუღ ბაგრატიონი და სახელმწიფო კანცელარიის პასუხისმგებელი მუშაკი ზაზა ინწკირველი.

სააგენტო „გუმათი"-„ლელო"

## «ლელოს» წარდგინება

**ლეილა მესხი ქალთა შორის უველაზე სახელოვანი ჩოგბურთელია საქართველოში. ყველა წარმატების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. 1991 წელს ზედიზედ დაამარცხა აშშ-ი გამართულ ერთ-ერთ ტურნირში ჯენიფერ კაპრიატი, მარტინა ნავრატილოვა და ნატალია ზვერევა და მაშინ №1 ჩოგბურთელ გაბრიელა საბატინისთან დათმო ფინალური პაექრობა. საქართველოს ბრინჯაოს მედალი მოუტანა 1992 წელს გამართულ ოლიმპიურ თამაშებში. ტრავმის გამო გაანება თავი თამაშს. თბილისში გახსნა თავისი სახელობის საჩოგბურთო აკადემია და მეუღლესთან, პავლე ნადიბაიძესთან ერთად ხელმძღვანელობს. ჰყავს ორი შვილი — გიორგი და ლიზა. ფლობს რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. პირველი ადამიანია საქართველოში, რომელსაც თავისი შრომა-გარჯით მოპოვებული აქვს მილიონ დოლარზე მეტი. თავისივე თქმით, მისი დევიზია სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, მეგობრებისა და ოჯახის ერთგულება, მალე პატიობს შეცდომებს, ამბიციურია. ჩოგბურთის გარდა არის კალათბურთის და ფეხბურთის გულშემატკივარი. უყვარს კლასიკური მუსიკა, ღვთისმოშიშია.**

## თვის მონაგარი

# თებერვლის „ეკონომიკურ სუსხს" გადავრჩით, შემდეგ...

*(პირველი გვერდიდან)*

*ლი ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე გიორგი კანდელაკის წინსვლა პროფესიულ კრივში. თვის ბოლოს ათენის საერთაშორისო ტურნირში მესამე იყო წყალში მხტომელი ვიტალი მამნიაშვილი.*

*ეს წარმატებები, ბიუჯეტიდან დაუფინანსებლობის მიუხედავად ნდობით ნასესხები თანხების წყალობითაა მოპოვებული. სამწუხაროდ, შიდა ჩემპიონატიცა და პირველობებიც მეტწილად ნასესხები თანხებით ტარდება, ზოგიც ამოვარდა კალენდრიდან ან გადაიდო. შედარებით სტაბილურია აჭარისა და თბილისის სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარი. ჩატარდა ტურნირები მინი-ფეხბურთში, მათ შორის მიხეილ მესხის სახელობისა — თბილისში.*

*თებერვალში გადაწყდა ბათუმში წლევანდელი ევროპის გუნდური საჭადრაკო ჩემპიონატის ტრაპიზონში შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველი თამაშების ჩატარების საკითხები.*

*გასულ თვეში გაიმართა ზოგიერთი ეროვნული ფედერაციის ყრილობა, რომელზედაც აირჩიეს ახალი ხელმძღვანელები.*

## თებერვლის თვის საუკეთესო სპონსორი

*თებერვალში სპონსორთა გააქტიურება იგრძნობოდა. მათ შორის „ლელოს" რედაქციამ გამარჯვებულად სცნო სარფის საბაჟო და ფირმა „სამგორი" (ლადო კვარაცხელია).*

# ახალი ამბები სფფ-დან

*(პირველი გვერდიდან)*

## წუთებიც კი გათვლილია...

სფფ-ში მთელი სერიოზულობით ემზადებიან უკრაინასთან და სლოვენიასთან „ევრო-2000"-ის მატჩების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად. ფაქტობრივად გეგმა გაწერილია თითოეულ დღეზე და საათზე — სტუმართა მიღების წუთებიდან — გაცილებამდე. ჩვენი მეტოქეები თბილისში ჩამოდიან მატჩის წინა დღეს — უკრაინელები 19 მარტს, სლოვენიელები — 26 მარტს.

## „ადიდასმა" ისევ შეგვმოსა

**ცნობილ ფირმა „ადიდასთან" საკითხების მოგვარების შემდეგ, სფფ-მ 1998-99 წლების მოდელის 4 კომპლექტი საშეჯიბრო სპორტული ფორმა შეიძინა შეღავათიან ფასებში.**

**ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია სლოვენიასთან ჩვენმა ნაკრებმა შინ ამ ახალი ფორმით იასპარეზოს.**

## ახლოვდება მატჩები, იზრდება ინტერესი აბონემენტებისადმი

აბონემენტები იყიდება სფფ-ში, ეროვნული სტადიონის სალაროებში და „სპორტლოტოს" გამავრცელებლებთან. სფფ იღებს შეკვეთებს აბონემენტის შეძენის კოლექტიურ განცხადებაზე. ფასი 50 ლარია („ევრო-2000"-ის ოთხი და უკრაინის ნაკრებთან 1 ამხანაგური მატჩი). ტელეფონი: 23-50-78.




### საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური გიწვევთ

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური ჟურნალისტებთან, სპორტის გულშემატკივრებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ტრადიციული შეხვედრების მორიგ გაერთიანებულ პრესკონფერენციას გამართავს ხუთშაბათს, 4 მარტს, სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში, 12 საათზე.**

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

# „თურქულის" ვირუსი?

*(პირველი გვერდიდან)*

იტალიელებთან ეს მატჩიც ლოგიკური შედეგით დასრულდა. თუ ლატვიელებთან მინიმალური ანგარიშით წავაგეთ (96:98) ახლა მორიგ მეტოქესთან ღიმილის მომგვრელი ქულათა სხვაობით დავტოვეთ მოედანი (64:105) ასე, ერთბაშად დაიმსხვრა იმის ილუზია, რომ ლატვიელებთან შეხვედრამ თითქოს დაგვანახა ჩვენი შესაძლებლობები, თითქოს ქართველებს შეუძლიათ კალათბურთის თამაში, თითქოს ის თავდადება მომდევნო შეხვედრაში იტალიელებთან სტიმულის მომცემი იქნებოდა...

მოკლედ, თუნდაც ღირსეული წაგება, მეათე მატჩში, ვერ მოხერხდა. კალათბურთელებს რომ ჰკითხოთ, მათ ამჯერადაც ყველაფერი იღონეს, მაგრამ რას იზამ, ძალა (ოსტატობაც) აღმართს ხნავს. ალბათ ასეცაა, მაგრამ ასეთი სამარცხვინო სხვაობა ქულებში? იქნებ სწორედ მეტოქის აშკარა მაღალი ოსტატობა თუ თავისიანებისადმი გულაცრუება გახდა მიზეზი, რომ ჩვენების მხარდასაჭერად მოსულმა მაყურებელმა მყისიერად შეიცვალა ორიენტაცია და ოვაციებით აჯილდოებდნენ ჩვენს „გამანადგურებლებს". იყო გულშემატკივართა გაგულისების მომენტიც და კიდევ კარგი, საქმე ექსცესებამდე არ მისულა.

მოკლედ, თურქული ვარიანტი გამეორდა. ხომ არ შეეყარა ჩვენს ნაკრებს „საკალათბურთო თურქული?"

მ. ღუღუნავა

*საქართველო:* მაისურაძე, ბოისა (17), ჟღენტი (4), გაგნიძე (4), აბრამიძე (4), ბერძენიშვილი (7), ჯაფარიძე (9), ოთიურიძე (10), ქარაბაკი (2), ჩხეიძე (7).

*იტალია:* პოცეკო (13), ბაზილე (6), სამბუგარო (8), ფუკა (15), მარკონატო (14), ტონოლი (9), გალანდა (8), მიანი (8), ჩიაკოგი (18), დი ჯიული მარია (6).

*არბიტრები:* ლიცინა (იუგოსლავია) და ვალჩევი (ბულგარეთი).

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 8 | 2 | 16 |
| თურქეთი | 10 | 8 | 2 | 16 |
| ჩეხეთი | 10 | 6 | 4 | 12 |
| შვედეთი | 9 | 4 | 5 | 8 |
| ლატვია | 9 | 3 | 6 | 6 |
| საქართველო | 10 | 0 | 10 | 0 |

## სპორტული ნარდი | თბილისის ღია პირველობა

# მტკვარზე „ამღერდა" ნარდი

უჩვეულო სტუმრები ჰყავდა მტკვარზე რესტორან „კრწანისს", რომლის ვრცელი და ნათელი დარბაზის საპურმარილო მაგიდები ორ დღეს დაეთმო 100-მდე ნარდის მოყვარულ მამაკაცს და ერთ მანდილოსანს, მონარდეთა სამყაროში კარგად ცნობილ ქალბატონ ნანა ხაზიურს. შეჯიბრება ამ უპოპულარესი ხალხური თამაშის სამ ნომინაციაში მიმდინარეობდა: ქართულ, გრძელ და საერთაშორისო, ანუ სპორტულ ნარდში. მოასპარეზეთა შორის იყვნენ საერთაშორისო ასპარეზობებისა და მსოფლიო პირველობის მონაწილენი, რომელთაც მეტი დაძაბულობა და ინტერესი შესძინეს ტურნირს.

2 1 3 კვარცხლბეკი

***ქართული ნარდი:*** 1. გიგო თუხარელი; 2. კახაბერ სხირტლაძე; 3. ლევან ჭაჭიაშვილი, რევაზ ხუციშვილი.

***გრძელი ნარდი:*** 1. კახაბერ ნაჭყებია; 2. თემურ სიხარულიძე; 3. კახაბერ ყუბანეიშვილი, ომარ დვალი.

***სპორტული ნარდი:*** 1. სერგო ტაბუცაძე; 2. აკაკი კიკალეიშვილი; 3. ლაშა კიკვაძე, კახაბერ სხირტლაძე. გუნდური პირველობის ფინალში „თოკომ" (ედიშერ თაკვარელია, თამაზ გოლეთიანი, თეიმურაზ ქურციკიძე) 2:1 სძლია სანზონის გუნდს და მოიპოვა ჩემპიონობა.

# ? შეკითხვა „ლელოს"

ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხეთ, რომ თსუ-ს მწვრთნელი კალათბურთში ნოდარ ქორქია მოითხოვს აიკრძალოს მოთამაშეთა თავისუფალი ტრანსფერები. იგი ამბობს: „მე იმედი მაქვს, რომ მომავალში ფედერაცია მიიღებს ისეთ კანონს, რომელიც მოთამაშეებს აღარ მისცემს უფლებას ასე იოლად გადავიდნენ გუნდიდან გუნდში".

გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენადაა გამართლებული ასეთი მოთხოვნა?

*ახალგაზრდა კალათბურთელები*

პასუხი: **რა თქმა უნდა, სპორტსმენის უფლებების შეზღუდვა დაუშვებელია, ყველა ადამიანი თავისუფალია არჩევანში. და ამას ჩვენი კონსტიტუციაც ითვალისწინებს. სხვა საქმეა დადებული კონტრაქტის პირობების დარღვევა მხარეებს შორის. რაც შეეხება კანონს, არც ერთ სპორტულ ფედერაციას არანაირი კანონის მიღების უფლება არა აქვს. ისინი მოქმედებენ თავიანთი წესდების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს, ყველა ფედერაცია, როგორც წესი, იცავს თავისი ქვეყნის კანონებს, მათ შორის კანონს „სპორტის შესახებ", აგრეთვე ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციების მიერ კომპეტენციით მიღებულ გადაწყვეტილებებს.**

## სპორტული ბილიარდი

# უმცროსმა სძლია უფროსსა...

20 მონაწილე გამოვიდა მთაწმინდის რაიონის (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯუდუ ქამუშაძე), რაიონულ პირველობაზე სპორტულ ბილიარდში („ამერიკანკა"), რომელიც ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე (სახლი — №7) მდებარე საბილიარდო კლუბში გაიმართა. მოასპარეზეთა შორის იყო ორი ძმა კელაურიძე — გიორგი და ნიკოლოზი. უმცროსმა, ნიკოლოზმა (იგი 18 წლისაა) სძლია არა მარტო თავის უფროს ძმას, არამედ ყველა დანარჩენ მეტოქესაც და ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა გიორგი ჯოხაძე, მესამეზე — ნოშრევან ნამორაძე.

გამარჯვებულებს შესაბამისი სიგელები და ფასიანი საჩუქრები (კასეტიანი მაგნიტოფონები) გადასცა მთაწმინდის რაიონის გამგებელმა. შეჯიბრების (მთავარი მსაჯის კონსტანტინე ბუცხრიკიძე) ორგანიზატორები დიდათ კმაყოფილნი დარჩნენ კლუბის გამგეობისა (ბუბა ყურაშვილი), რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო მათ ასპარეზი მთელი 10 დღის განმავლობაში.

რობერტ ყარსელი

*სურათზე: თამაშობს ტურნირში გამარჯვებული ნიკოლოზ კელაურიძე.*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო.*



# მწვრთნელის ხსოვნას – პატივი

*საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის IV ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1982-83 წ.წ. დაბადებულთა შორის.*

***კვარცხლბეკი:* *42 კგ:*** 1. თემურ პაპიაშვილი, 2. ლევან მუზაშვილი (ორივე-რუსთავი), 3. როინ რობაქიძე (ქუთაისი), მანუჩარ ცხადაია (ორს – ხობი). ***46 კგ:*** 1. დავით ბედინაძე (ორს – ბათუმი), 2. ტარიელ ჩადუნელი (ორს – ბორჯომი), 3. მალხაზ სოლომონიძე (ბათუმი), კახი მარუშაშვილი (მარტყოფი). ***50 კგ:*** 1. თემურ ქასოშვილი (რუსთავი), 2. თამაზ გაბისონია (ორს – ხობი) 3. ალექსი გუგუნაშვილი (მარტყოფი), ბესო დვალიძე („შევარდენი"), ***54 კგ:*** 1.; აკაკი ჯოხაძე (მარტყოფი), 2. პაატა ფიცხელაური (რუსთავი), 3. ირაკლი კოპალეიშვილი (ორს – ბათუმი), ამბაკო ვაჩაძე (ქუთაისი), ***58 კგ:*** 1. ვალერი მურღულია (სენაკი), 2. ზვიად გრძელიძე (ქუთაისი), 3. პაატა ბიწაძე („შევარდენი"), შმაგი სალთხუციშვილი (მარტყოფი), ***63 კგ:*** 1. ოთარ ფევაძე (ორს – ბათუმი) 2. პაპუნა დოჩია (ორს – ხობი), 3. სერგო ონიანი (ოზურგეთი), ომარ ბაკურიძე (ბათუმი). ***68 კგ:*** 1. დავით შავაძე (ბათუმი), 2. მამუკა ხემშიაშვილი, 3. ელიზბარ მაჭუტაძე (ორივე – ორს ბათუმი), გოჩა ხეცურიანი (ქუთაისი). ***76 კგ:*** 21. პეტრე მეტრეველი („შევარდენი"), 2. მიხეილ ჩიქოვანი, 3. ოთარ ბაირამაშვილი, დავით ახალმოსულიშვილი (სამივე – ორს თბილისი). ***85 კგ:*** 1. პაატა ზაქარაძე (ბათუმი), 2. ჯუმბერ კუჭუხიძე (ორს – აბაშა), 3. კახა კალანდაძე (ოზურგეთი), ბერდია გერგედავა (ორს). ***100 კგ:*** 1. რამაზ დევაძე (ბათუმი), 2. ირაკლი კალანდაძე (ორს), 3. კუკური მესხია (ოზურგეთი), პაატა წიწილაშვილი (ზესტაფონი).

ც. ბაქრაძე

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

# XVI ტური

# გინდ მერაბი, გინდ ეგიდიუსი...

**ლოკომოტივი (თბილისი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 1-1**

*ლოკომოტივი:* ჯანელიძე, ბალაშვილი, კ. მელქაძე, ბარნოვი, არჩვაძე, მარღიშვილი (კოტორაშვილი, 58), კაციაშვილი, შ. ხუჯიძე, გოგობერიშვილი (ბაქრაძე, 83), დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე.

*კოლხეთი-1913:* მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გიორგაძე, შალამბერიძე, ღადანიძე, კალანდაძე, ამაშუკელი, ე. გვასალია, ქობულაძე, შავგულიძე (ჩადუნელი, 63).

*გოლები:* გოდერძიშვილი (პენ. 68), ქობულაძე (83).

*გააფრთხილეს:* გოროზია, ტორჩინავა.

*გააძევეს:* გოროზია (44).

*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

ქართველ მსაჯებს სფფ-ს ახალმა ხელმძღვანელობამ ფიზიკურ მომზადებაში სახელდახელო ტესტები კი მოუწყო, მაგრამ ეს რომ ჯერჯერობით მხოლოდ წვეთია ზღვაში ამ მატჩმაც დაგვანახა — კაცი წონას ინტენსიური ვარჯიშით მალე კი დაიკლებს, მაგრამ მენტალიტეტის შეცვლისთვის და პროფესიული დონის ამაღლებისთვის გაცილებით დიდი დრო დასჭირდება.

...მსაჯის ასისტენტმა პაატა დოგრაშვილმა თამაშგარეს დასაფიქსირებლად ალამი ასწია, მაგრამ ეს ავთანდილ შალამბერიძეს არ დაუნახავს, რადგან ფოთელთა საჯარიმოში მეტად მწვავე სიტუაცია შეიქმნა და, ბუნებრივია, მთელი ყურადღება იქითკენ ჰქონდა გადატანილი, სადაც გოდერძიშვილს სარმა გამოსდეს (დოგრაშვილის ალმის აფრიალების შემდეგ) და შალამბერიძემ 11-მეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. მაგრამ მანამდე დოგრაშვილმა ხომ ერთ-ერთი ლოკომოტიველი თამაშგარედ დააფიქსირა? ყველაფერი ეს 2-3 წამში მოხდა. ფოთელები ჯერ შალამბერიძეს მიეჭრნენ, აქაოდა, გვერდითმა მსაჯმა გოდერძიშვილის წაქცევამდე ალამი ასწიაო. შალამბერიძემაც გადაწყვიტა კონსულტაციისათვის მიემართა დოგრაშვილისთვის, მაგრამ, ამჯერად, მსაჯის ასისტენტმა უარყო თამაშგარეს დაფიქსირების ფაქტი. ერთმა გულშემატკივარმა კი მოედანზე შემდეგნაირად წაიხუმრა მწარე ირონიით: „ამათ პრეზიდენტად გინდ მერაბ ჟორდანია დაუნიშნე, გინდ ეგიდიუს ბრაუნი (გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი" — *დ.თ.*), მაინც არაფერი ეშველებათ".

ასეა თუ ისე, „ლოკომოტივი" იმ პენალტით დაწინაურდა და მას რამდენიმე საგოლე მომენტიც მიაყოლა. მაგრამ ხან ფორვარდები (გოდერძიშვილი და წივწივაძე) სცოდავდნენ, ხან მარჯვენა ფლანგზე გალაღებული კაციაშვილი. შეცვლაზე შემოსულმა კოტორაშვილმა კი ორჯერ ვერ გამოიყენა ნაღდი შანსი. „კოლხეთმა" ამასობაში ძალა მოიკრიბა, მინდვრის ცენტრში სწრაფი და გონივრული კომბინაციით ქობულაძე ჯანელიძესთან პირისპირ აღმოჩნდა და წერტილიც დაესვა მატჩს.

შედეგი, ვფიქრობთ სამართლიანი აღმოჩნდა. ფოთელებმა მეტად მობილურად წარმართეს შეხვედრა. მათი გამოცდილება, ტრადიციები და შეთამაშება შთამბეჭდავი იყო, რაშიაც უდავოდ მათ ახალ მთავარ მწვრთნელს გია ტყებუჩავასაც მიუძღვის სათანადო წვლილი. „ლოკომოტივი" კი, ალბათ, უფრო თასის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩზე (გაიმართება ბათუმის „დინამოსთან" 9 მარტს) ფიქრობდა...

დათო თავართქილაძე

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**ტორპედო (ქუთაისი) — თსუ 1-0**

*ტორპედო:* ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, მაზანაშვილი (კ. კვეტენაძე, 46), დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე.

*თსუ:* გაბელია, ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ნინუა, მაღრაძე (დეკანოსიძე), 68), მესხი (გონჩაროვი, 81), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი, ზამთარაძე.

*გოლი:* მეგრელაძე (82)

*გააფრთხილეს:* ჩხეტიანი, კვეტენაძე, ილურიძე, ჭუმბურიძე.

*მსაჯი:* ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**დილა (გორი) — გორდა (რუსთავი) 3-0**

*დილა:* სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, გაგნიძე, ვ. სამხარაძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი (ხ. ხახანაშვილი, 82), ციცქიშვილი, რ. ახალკაცი (სულთანიშვილი, 76), მ. მინდიაშვილი (არუთინიანი, 78).

*გორდა:* მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, სახვაძე, ტარტარაშვილი, მელაძე, ზირაქაძე, ლაბაძე (სიმონიშვილი, 65), ლ. ალადაშვილი (მიშველაძე, 58), კალმახელიძე (ინასარიძე, 54).

*გოლები:* აკოფიანი (54), მინდიაშვილი (70), სულთანიშვილი (82)

*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**იბერია (სამტრედია) — ოდიში (ზუგდიდი) 0-0**

*იბერია:* დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, თოდუა, ვარდიაშვილი, ხუჭუა, ვ. გიგიაძე (გ. ლურსმანაშვილი, 46), ივეჩიანი (ფილიპაშვილი, 79), მუმლაძე.

*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია, ზ. კვეკვესკირი, აფაქიძე, ჯავაშვილი, აკობია, ტაბაღუა (ცაცუა, 90), კუტალია (ალანია, 79), მარკოზია, ვახანია (გოგოხია, 46), გვიჩია.

*გააფრთხილეს:* ხუჭუა, ტაბაღუა, გეგეშიძე, ქველაძე, მარკოზია.

**გურია (ლანჩხუთი) — სიონი (ბოლნისი) 1-1**

*გურია:* ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცახალავა, ჭიაბრიშვილი (გულორდავა, 71), შავშიშვილი, სვანაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე, ძოძუაშვილი.

*სიონი:* დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე (გაგუა, 37), მ. გოგოლაძე. ე. ჯაფარიძე, სულთანოვი, მოსეშვილი, ჩალაძე.

*გოლები:* კვეკვესკირი (ავტოგოლი, 2), კვეკვესკირი (29).

*გააფრთხილეს:* მახარაძე, ძოძუაშვილი, გოდერძიშვილი, ჯაფარიძე.

*მსაჯი:* თ. ლაცაბიძე (სურამი)

**სამგურალი (წყალტუბო) — მერანი-91 (თბილისი) 1-2**

*სამგურალი:* ხაჩირაშვილი, ჯავახაძე (ფრანგიშვილი, 60), ბურნაძე, ლ. ქობულაძე, მახვილაძე, ძაგნიძე, ვოსკანოვი, გ. კილასონია, გიორგობიანი, მ. ჯინჭარაძე, სუხიაშვილი (ახალაძე, 77).

*მერანი:* ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, დ. ჯიშკარიანი (დანელია, 80), ჩუხუა (დევიძე, 84), გ. კვეტენაძე (ჭელიძე. 83), ხუციშვილი, დავითაშვილი.

*გოლები:* ძაგნიძე (4), ქორიძე (9), დავითნიძე (80).

*გააფრთხილეს:* ალადაშვილი, ვოსკანოვი, ძაგნიძე, ასპინძელაშვილი, ჩუხუა, ფრანგიშვილი.

## ალექსანდრე ჩივაძე უარყოფს

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, თითქოს ჩივაძისა და კვინიკაძის თანდასწრებით გაიმართა საუბარი უმცროს ნოდარ ახალკაცთან და მას 100 ათასი დოლარი მოსთხოვეს. ალექსანდრე ჩივაძე განმარტავს: „სტატიაში მოყვანილ ფაქტთან არავითარი შეხების წერტილი არა მაქვს. ეს სიცრუე და ცილისწამებაა. მე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ უმცროსმა ნოდარ ახალკაცმაც დაუყოვნებლივ დააფიქსიროს თავისი პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით".



კუკური რამიშვილი – ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ეს სახელი. ბათუმელმა ყმაწვილმა ოსტატობის გზა გაიარა ბავშვთა სპორტსკოლიდან თბილისის „დინამომდე". მაგრამ პირველი დიდი ოცნება მაშინ აუხდა, როცა ცნობილმა სპეციალისტმა დუკა რამიშვილმა ბათუმის „დინამოში" მიიწვია. ყველაზე უწინ კი მშობლიურ ქალაქში ჩასულმა ანზორ კავაზაშვილმა მიაქცია ყურადღება ბურთს თავგამოდებით ადევნებულ მეზობლის ბიჭს. დღეს იგი 50 წლისაა და განვლილი წლების გადასახედიდან მადლიერების გრძნობით იხსენებს ყველას, ვისთანაც ერთად ახალგაზრდობის ძვირფასი წლები შესწირა მის აღმატებულებას – ფეხბურთს!

*სურათზე კუკური რამიშვილი (ზოლიან მაისურში).*

## გოგრიჭიანიც მწვრთნელს ადანაშაულებს

გოჩა გოგრიჭიანი ქართველ გულშემატკივართათვის პირველად 1983 წელს გახდა ცნობილი, როცა იგი სსრკ-ს 18 წლამდელთა ნაკრებს წამყვან ფორვარდად მოევლინა გრანატკინის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. მაგრამ „მძაფრი ქარტეხილი" გოჩასაც შეეხო — 80-იანელთა თაობა ხომ ფაქტობრივად დაიკარგა და გოგრიჭიანიც ერთ-ერთი მსხვერპლი აღმოჩნდა. მსხვერპლი იმ გაგებით, რომ მან ისეთი დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა, როგორიც ტალანტი აქვს. 80-იანელთა თემა დღეს უკვე საკმაოდ კარგად გადამუშავებული და გაცვეთილია, მაგრამ გულშემატკივარს ალბათ ყოველთვის გაჰყვება დარდად იმ მართლაც და დიდად (და არა მარად)? პერსპექტიული ბიჭების უბედობა...

გოჩამ კი 90-იანი წლებიდან თავისი ბედი სოჭს დაუკავშირა. ის „ჟემჩუჟინაში" უკვე შინაური, პოპულარული და, რა თქმა უნდა, კვლავაც წამყვანი მოთამაშეა. იყო პერიოდი, როცა გოჩამ კვიპროსს მიაშურა და ორი წელიწადი ნიქოზიის „ომონიაში" გაატარა, რის შემდეგ ისევ სოჭში დაბრუნდა. იყო აგრეთვე დროც, როცა გოჩა ეროვნულ ნაკრებში გამოდიოდა და არც თუ ისე ურიგოდ...

წლეულს გოჩა გოგრიჭიანს 35 წელი შეუსრულდება, მაგრამ ასაკი ჯერჯერობით სულაც არ უშლის ხელს „ჟემჩუჟინას" ლიდერი, გულშემატკივართა კერპი და მწვრთნელის უდიდესი ნდობით აღჭურვილი პერსონა რომ იყოს. რუსული „სპორტ-ექსპრესის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში გოჩამ კლუბისა და პირადი პრობლემების გარდა ქართულ ფეხბურთზეც, ჩვენს ეროვნულ გუნდზეც ისაუბრა. აი ინტერვიუს ერთი ფრაგმენტი.



გოგრიჭიანი

● ***თქვენ ხომ ერთ დროს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოდიოდით.***

— საქართველო და ფეხბურთი განუყოფელია. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია უფრო მეტზე განაცხადოს პრეტენზია, ვიდრე იმაზე, რაც ახლა აქვს.

● ***მართალია, რომ ყველა მაღალი კლასის მოთამაშემ დატოვა საქართველო?***

— ალბათ მასეც არის. ნაკრების ყველა ფეხბურთელი უცხოეთში წავიდა და დანარჩენებსაც, რომელბიც რაღაცას წარმოადგენენ, სად არ ნახავს კაცი, ოღონდ სამშობლოში არა.

● ***არ გეშინიათ, რომ საქართველოში აღარ გაიზრდებიან კარგი ფეხბურთელები — ვისლა უნდა ეთამაშონ იქ?***

— ამის არ მეშინია, მერწმუნეთ, საქართველოში ტალანტების პრობლემა არ იქნება. მე სხვა რამ მადარდებს. ახლა ძლიერი ფეხბურთელების ნამდვილი პლეადა გვყავს და მათ შესწევთ ძალა მაღალ შედეგს მიაღწიონ — მოხვდნენ ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მაგრამ დრო გადის და საქართველოც ვერაფერს იგებს. ვფიქრობ, დღეს არ გაგვაჩნია მაღალი კლასის მწვრთნელები. რუსეთში ასეთები გაცილებით ბევრია. აი, თქვენი (რუსების) ნაკრები კი ჩემი აზრით, გაცილებით სუსტია ჩვენსაზე. არ მინდა ვინმეს რომ ვაწყენინო, მაგრამ მართლაც ასე მიმაჩნია.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### არსენ ვენგერის საკადრო პოლიტიკა

ლონდონის „არსენალის" ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი ყოველნაირად ცდილობს გუნდის გაძლიერებას და... თანხების დაზოგვას. ამას წინათ მან ბერძნულ აეკ-ს დაუთმო კრისტოფერ ვრე და ალბერტო მენდესი. ამით ერთგვარად შეამცირა დანახარჯი. საქმე ის არის, რომ „არსენალმა" მილანის „ინტერს" ნიგერიელ ვარსკვლავ ნვანკო კანუში გადაუხადა 4,9 მილიონი დოლარი, „ბორდოს" კი 4 მილიონი, როცა კაბა დიავარა შეიძინა.

### „ჩოჩორი" არგენტინაში ბრუნდება

განთქმულ არგენტინელ ოსტატ არიელ ორტეგას, მეტსახელად „ჩოჩორს" იტალიის „სამპდორიაში" თამაში აშკარად არ გამოუვიდა. იგი კარგა ხანია აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას და მოელაპარაკა კიდეც ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტს".

აი, რა განაცხადა „რივერ პლეიტის" ვიცე-პრეზიდენტმა ალფრედო დავიჩემ: „ორტეგა საცაა დაგვიბრუნდება. ჩვენთან იგი თავს ადრეც კარგად გრძნობდა და ახლაც კარგად იქნება. მას ხომ დიდი სახელი აქვს და რაიმეს დამტკიცება არა სჭირდება.

ამავე დროს დავიჩემ უარჰყო დიეგო მარადონას მიერ გავრცელებული ხმების, თითქოს „რივერ პლეიტში" ბრუნდება კლაუდიო კანიჯა.

### ერთ „დეტალს" ნუ დავივიწყებთ

ის, რომ მადრიდის „ატლეტიკის" პატრონი ხესუს ხილი, ცნობილი თავის უკმეხი და უკომპრომისო ხასიათით, ადრე თუ გვიან არიგო საკის (არანაკლებ უკმეხსა და უკომპრომისოს) წაეჩხუბებოდა, ეს კარგად იყო ცნობილი. მაგრამ მკითხველს გვინდა გავაცნოთ ერთი „დეტალი":

საკიმ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, ვისთან იჭერდა საქმეს. ამიტომ შარშან, როცა ხილმა ძალიან სთხოვა მის კლუბს ჩასდგომოდა სათავეში, საკიმ დაჟინებით მოითხოვა კონტრაქტში ასეთი პუნქტის შეტანა: თუკი მას ვადაზე ადრე გაათავისუფლებდნენ (დიახ, სწორედ ასე მოხდა!) კლუბს კომპენსაციის სახით მწვრთნელისთვის 10 მილიარდი ლირა (დაახლოებით 6 მილიონი დოლარი!) უნდა გადაეხადა.

ისე რომ, საკი იტალიაში მადრიდიდან ხელცარიელი (!) ნამდვილად არ დაბრუნებულა!

### საზოგადოებრივი საქველმოქმედო ფონდი მუშაობს

რუსეთში მოქმედებს საზოგადოებრივი საქველმოქმედო ფონდი „ფეხბურთი — ბავშვებს". ამას წინათ მან ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს გააცნო თავისი პროგრამა, „ფეხბურთი — ჩრდილოეთის ბავშვებს", „ფეხბურთი — ნარკოტიკების წინააღმდეგ", „ფეხბურთი — ქუჩის ბავშვებს", „ნიჭიერი ბავშვების ფეხბურთი". გარდა ამისა, ფონდი აპირებს სხვა აქციების ჩატარებასაც და მას ფეხბურთის ვეტერანებიც ეხმარებიან. მის შემადგენლობაში არიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეები, ცნობილი მწვრთნელები და ბიზნესმენები. ბლატერმა განაცხადა, ფიფას ფონდს აუცილებლად დაეხმარება.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩილავერტი – მეხუთედ

*ურუგვაის გაზეთ „ელ პაისის“ მიერ მოწყობილი ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად შარშანდელ „ამერიკული ფეხბურთის მეფედ“ არჩეულია არგენტინის ნაკრებისა და „ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელი მარტინ პალერმო. გამოკითხვაში მონაწილეობდა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების დაახლოებით სამასი ჟურნალისტი. ახალ ლაურეატს ჯილდოდ ავტომობილი გადაეცა.*




*ასეთი კონკურსი 1990 წლიდან ტარდება. მაშინ გაიმარჯვა რაულ ამარილიამ, 1991 წ – ოსკარ რუჯერიმ, 1992 – რაიმ, 1993 წ. – კარლოს ვალდერამამ, 1994 – კაფუმ, 1995 წ. – ენცო ფრანჩესკოლიმ, 1996 წ. – ხოსე ლუის ჩილავერტმა, 1997 წ. – მარსელო სალასმა.*

*პალერმოს გარდა თავიანთ ნომინაციებში „ბოკა ხუნიორსის“ კიდევ სამმა მოთამაშემ გაიმარჯვა: მცველმა ხორხე ბერმუდესმა (კოლუმბია), ნახევარმცველებმა მაურისიო სერნამ (კოლუმბია) და დიეგო კანიამ (არგენტინა).*

*რაც შეეხება 1998 წლის საუკეთესო მწვრთნელს, ასეთად მიიჩნიეს „ბოკა ხუნიორსის“ ხელმძღვანელი კარლოს ბიანკი. აი ვინ იყო უძლიერესი ამ ამპლუაში გასულ წლებში: 1990 – ლუის კუბილია, 1991 – ალფიო ბაზილე, 1992 – ტელე სანტანა, 1993 – ფრანსისკო მატურანა, 1994 – კარლოს ბიანკი, 1995 – ეკტორ ნუნიესი, 1996 – ერნალ დარიო გომესი, 1997 – დანიელ პასარელა.*

*სამხრეთ ამერიკის საუკეთესო მეკარედ მეხუთედ მიიჩნიეს არგენტინელ „ველეს სარსფილდის“ პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი.*

## პასარელას ახალი კარიერა?

სპორტული პრესა ბევრს წერს იმის შესახებ, რომ დანიელ პასარელა, რომლის კარიერა არგენტინის ნაკრებში მარცხით დამთავრდა, შეიძლება ამ მოკლე ხანში ურუგვაის ნაკრების მწვრთნელად მოგვევლინოს. პასარელას შესაძლებლობები, დაიკავოს ეს პოსტი, დღითიდღე იზრდება. ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციას 5 ხელმძღვანელი ჰყავს. აქედან ოთხმა მხარი დაუჭირა არგენტინელის მიწვევას. ურუგვაის პრესაში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად ფედერაციის პრეზიდენტი ეუხენიო ფიგერედო ჯერ ამის მოწინააღმდეგე იყო, ვინაიდან მისი არგენტინელი კოლეგა ხულიო გრონდონა ყოველთვის აკრიტიკებდა პასარელას, ამასთან, გამოქვეყნდა ცნობებიც, რომ პასარელა იყენებდა არგენტინის ნაკრებს მოთამაშეების ევროპაში ხელსაყრელ ფასებში გასაყიდად.

ახლა პრეზიდენტმა აზრი შეიცვალა:

– პასარელას ხელმძღვანელობით ურუგვაი შეიძლება ექსტრაკლასის ნაკრებად იქცეს. ჩვენს გუნდს არასოდეს ჰყოლია უცხოელი მწვრთნელი. რატომ არ უნდა იყოს პასარელა ამ მხრივ პირველი?

ერთადერთი, ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთაგან, რომელიც პასარელას წინააღმდეგ გამოვიდა, იყო ამ ორგანიზაციის მდივანი დანიელ პასტორინი. მან მოითხოვა ნაკრების მწვრთნელად ოსკარ ტაბარესის მოწვევა, რომელიც იტალიის სხვადასხვა კლუბში მუშაობდა.

პასარელას უკვე იწვევდნენ ურუგვაიში შარშან, თებერვალში და სახლსაც კი აძლევდნენ მონტევიდეოს პრესტიჟულ რაიონში. მაშინ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

## კეთილი ინებეთ, სკამები შეცვალეთ!

სოჭის „ჟემჩუჟინას“, რუსეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბს, შეიძლება საკუთარ მინდორზე თამაშის ნება არ დართონ, თუ არ შეცვალა ხის სკამები სტადიონზე პლასტმასის სავარძლებით. ასეთი სავარძლები მან შეუკვეთა მოსკოვის სააქციო საზოგადოება „ინტეკოს“. 10 ათასი სკამი 4 მილიონი რუბლი დაჯდება, მაგრამ ჯერჯერობით მუშაობის შედეგები არ ჩანს. სოჭის გუნდს საკუთარ სტადიონზე იმ შემთხვევაში ათამაშებენ, თუ ამ სავარძლების ორ მესამედს მაინც დაამონტაჟებს.

## „ხელფასი გამინახევრონ? არავითარ შემთხვევაში!“

„როტორის“ ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმირ ნიდერგაუსი (ეროვნებით გერმანელი) უკვე ერთი წელია ისრაელის „მაკაბიში“ (ჰაიფა) თამაშობს, რომელმაც იგი ამას წინათ მეორე ქალაქ ჰერცლაის „მაკაბის“ იჯარით გადასცა. ადრე ამ კლუბს ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი ანდრეი ბალი წვრთნიდა, ახლა კი მან ეს გუნდი დასტოვა. „მაკაბი“ (ქ. ჰერცლაი) ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა, მან ყველა მოთამაშეს წინადადება მისცა ადრინდელი ხელფასის ნახევრით დაკმაყოფილდნენ, რის გაგონებაც ნიდერგაუსს არც კი სურს.

## კიგანს მტკივნეულ ადგილზე დააჭირეს




ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ ტერი ვენეიბლზს შეუძლია კვლავ დაუბრუნდეს ინგლისის ეროვნულ გუნდს თუ კევინ კიგანი არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას.

საქმე იმაშია, რომ კიგანი ნაკრების თავკაცად გახდომამდე მეორე დივიზიონის „ფულემს“ წვრთნიდა, რომლის მფლობელი მულტიმილიონერი მუჰამედ ალფიედი გახლავთ. „ფულემს“ დიდი მიზნები ჰქონდა და აქვს, რის განხორციელებასაც კევინ კიგანის თავკაცობით აპირებს. სწორედ ამიტომ ვერ ელევა ამ კლუბს ბოლომდე კიგანი და ნაკრების მხოლოდ დროებით მწვრთნელობასაც დათანხმდა. ტერი ვენეიბლზე კი შეგახსენებთ, რომ ის ინგლისის ნაკრებს 1995-96 წლებში წვრთნიდა და საკმაოდ წარმატებითაც. გუნდმა ევროპის ჩემპიონატის (1996) ნახევარფინალამდე მიაღწია და პენალტების სერიის შემდეგდა დამარცხდა მომავალ ჩემპიონ გერმანიასთან. „ჩვენ ვეძებთ ისეთ კაცს, რომელიც ნაკრების ოთხი მატჩის შემდეგ (რომელსაც გუნდი კიგანის თაოსნობით ჩაატარებს), გუნდის არადროებითი მწვრთნელი გახდება. ამისთვის ჩვენ უნდა გვყავდეს გამზადებული კანდიდატურა. თუ კიგანი, ნაკრების ოთხი მატჩის შემდეგ შეცვლის გადაწყვეტილებას, ეს, სამწუხაროდ, უკვე გვიანი იქნება – განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საერთაშორისო კომიტეტის შეფმა ნოელ ვაითმა.

მოკლედ, კევინ კიგანს კოჟიჟზე ფეხს აჭერენ – რას იზამ, მწვრთნელის ხვედრი ყველგან იდენტურია.

ინგლისის ფეხბურთის მამებში უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე კიგანის სატელევიზიო გამოსვლამ, როცა ის, ცოტა არ იყოს, უცნაურ თემაზე ალაპარაკდა. კიგანმა განაცხადა, რომ არ აუკრძალავს ნაკრების ფეხბურთელებს მიმართონ რელიგიურ თუ სხვა სახის მოძღვრებას. კიგანის აზრით, ფეხბურთელები ინდივიდები არიან და უფლებაც აქვთ თავისებურ საშუალებებს მიმართონ. ზოგიერთი ინგლისელი მიმომხილველი ამის გამო მორიგ სკანდალს წინასწარმეტყველებს და თვლის, რომ სავსებით შესაძლებელია კიგანიც, გლენ ჰოდლის დარად, სასაცილო იარლიყით შევიდეს ფეხბურთის ისტორიაში.

## დავუკვირდეთ მორალურ მხარესაც

*ინგლისურ ფეხბურთში დიდ ყურადღებას აქცევენ მწვრთნელებისა და მოთამაშეების ყოფაქცევას, მათ გამონათქვამებს პრესაში. იგივე ეხებათ ფეხბურთის სფეროში მომუშავე საქმოსნებსაც.*

*„ნიუკასლ იუნაიტედის“ დირექტორთა საბჭოს წევრებმა დუგლას ჰოლმა და ფრედი შიპპერდმა პრესაში, ცოტა არ იყოს, უდიერად მოიხსენიეს ალან შირერი და ინგლისელი ქალიშვილები. მაშინ საქმეში ჩაერია „ნიუკასლ იუნაიტედის“ სპონსორი კომპანია „სკოტიშ ენდ ნიუკასლ ბრიუზრიზი“ და ორივე ამ დირექტორს გადადგომა მოუხდა. მეცენატებმა მიატოვეს ისეთი პოპულარული ფეხბურთელიც კი, როგორიც პოლ გასქოინია ცოლთან უსიამოვნების გამო. სტენ კოლიმორს სარეკლამო კონტრაქტი ჰქონდა ფეხსაცმლის კომპანია „დიადორასთან“, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეგობარი ქალი ულრიკა იონსონი შემოელახა, მყისვე გააუქმა ხელშეკრულება.*

*დასასრულ, ნაკრების მწვრთნელ გლენ ჰოდლის მოხსნაში გარკვეული როლი შეასრულეს დიდი ბიზნესის წარმომადგენლებმა, რომლებსაც არ მოეწონათ მისი გამონათქვამი პრესაში ინვალიდების შესახებ. აი ინგლისის სამშენებლო კომპანიის ულტიმატუმი ფეხბურთის ასოციაციას: „ან ჰოდლი დატოვებს ნაკრებს, ანდა, თქვენ ველარ მიიღებთ 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს“. ასეთი სპონსორის დაკარგვა ხუმრობა არ იყო და ჰოდლსაც სამუშაოს დატოვება მოუხდა.*

## ეს „შეშლილი“ მარტინ პალერმო

ბუნებრივია, წამყვანი ევროპული კლუბები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ლათინოამერიკულ საფეხბურთო „ბაზარს“. რომ იტყვიან, ცალმხრივი გზაა – არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილი ოსტატები მიემგზავრებიან „ძველი კონტინენტისაკენ“, მათ ადგილს ახალგაზრდობა იკავებს. დროდადრო სამხრეთ ამერიკაში გამოჩნდება ხოლმე ახალი კერპი, მის ხელში ჩაგდებას რამდენიმე სუპერკლუბი ცდილობს და იმართება დიდი აუქციონი.

ამჟამად ასეთი ვნებათაღელვაა მარტინ პალერმოს გარშემო, თუნდაც იმიტომ, რომ იგი 1998 წლის სეზონის შედეგების თანახმად სამხრეთ ამერიკის №1 ფეხბურთელად აღიარეს. იგი ევროპაში ნაკლებად არის ცნობილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ არანაკლებ ფურორს მოახდენს, ვიდრე გაბრიელ ბატისტუტა, რომელსაც ხშირად ადარებენ ახალგაზრდა ვარსკვლავს.

ისევე, როგორც ბატისტუტას, პალერმოსაც იტალიური ფესვები აქვს. დაიბადა 1973 წლის 7 ნოემბერს ლა პლატაში (არგენტინა). ახოვანია (1 მ. 87 სმ), 85 კგ-ს იწონის. მეტსახელად „შეშლილი“ ჰქვია. დიახ, პალერმო ექსტრავაგანტურია, მძიმე ხასიათი აქვს, მოკლებულია ყოველგვარ დიპლომატიურობას, პირში მთქმელია და ხშირად არ ითვალისწინებს, რა შედეგები მოჰყვება ამ პირდაპირობას. მამამისს, წარმოშობით სიცილიელს, გემის მექანიკოსად რომ მუშაობდა, სულაც არ მოსწონდა ვაჟის მეტისმეტი გატაცება სპორტით და სკოლაში სწავლის მიტოვება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მართალია, ყმაწვილი თავიდანვე ფეხბურთით არ იყო გატაცებული. მას კალათბურთი და ფრენბურთი უფრო იტაცებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფეხბურთმა გადასწონა. ჯერ მეკარეობა დაიწყო. 10 წლისა ცნობილ კლუბ „ესტუდიანტესში“ ვარჯიშობდა. 14 წლისამ კალათბურთიც მიატოვა და ფრენბურთიც, ფეხბურთში „სპეციალობა“ შეიცვალა და თავდამსხმელი გახდა. შემდეგ მარტინ პალერმომ ესპანურ გაზეთ „ელ პაისს“, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი ინტერვიუ მისცა: „სხვა გზა არ მქონდა, გარდა იმისა, რომ ჩემი ცხოვრება ფეხბურთისათვის მიმეძღვნა“. აქ, ძნელი სათქმელია, პალერმო ფეხბურთით უკვე უზომო გატაცებას გულისხმობდა თუ სხვა რამეს.

1992 წელს ჭაბუკი უკვე „ესტუდიანტესის“ ძირითად გუნდში ჩაირიცხა და არგენტინის ჩემპიონატში დაიწყო თამაში. შეიძლება პალერმო თავისი ექსტრავაგანტურობით რამდენადმე ედმუნდოს ჰგავს. თამაშში თავს არ იზოგავს, შეიძლება იმასაც კი შეეცადოს, რომ მეტოქეს ბურთი ფეხებიდან... თავით (!) აართვას, რასაც მაყურებლის ხარხარი მოსდევს. ერთი სიტყვით, ელ ლოკო სრულიად უშიშარია. ცხოვრებაში არც იმას ერიდება, რომ ზოგჯერ ქალის ტანისამოსს იცვამს, თმას იღებავს, ხშირად ყვითლად. მარცხენა ყურში საყურე აქვს გარჭობილი.

1997 წელს პალერმო არგენტინის ყველაზე პოპულარულ კლუბ „ბოკა ხუნიორსში“ ჩაირიცხა. აქ რამდენიმე წლის წინათ ხომ ბატისტუტა ბრწყინავდა. მას შემდეგ, რაც პალერმომ ამ ახალ კლუბში დიდი ძალისხმევის გარეშე, ძალდაუტანებლად წამყვანი პოზიცია დაიკავა, დაიწყეს მისი შედარება იტალიაში გადაბარგებულ ბატისტუტასთან. ერთიც და მეორეც, რა თქმა უნდა, ნაღდ თავდამსხმელად და სნაიპერადაა დაბადებული, იშვიათი შედეგიანობით. პალერმოს ისეთივე საგოლე ალღო აქვს, როგორც „ბატიგოლს“, მაღალი ტექნიკა, შეიძლება მასზე ნაკლებად მოქნილია, მაგრამ უფრო ბრგე, ათლეტური, თავით თამაშის დიდი ოსტატი.

როცა პალერმო „ბოკა ხუნიორსში“ გადავიდა, კლუბს არგენტინის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი კარლოს ბილარდო წვრთნიდა (ახლა მას არანაკლები ცნობილი სპეციალისტი კარლოს ბიანკი უდგას სათავეში). იმ წელს „შეშლილმა“ 34 მატჩში 19 გოლი გაიტანა. 1997 წელს (არგენტინაში ხომ ყოველ წელს ორი ჩემპიონატი იმართება) ჯერ 12, ხოლო შემდეგ 19. ყველა აღტაცებული იყო ახალი ვარსკვლავით, რომელიც მეტოქის კარის შორიახლოს მშვენივრად ილებდა. გადაცემებს ფრთებიდან, ძალიან ხშირად ასწრებდა მცველებს და კარში უძლიერესად ურტყამდა. პარტნიორებიც შესანიშნავი ჰყავს – გილიერმო სკელოტო და რიკელმე.

ამ იშვიათმა გოლეადორმა ერთი რამითაც მიიპყრო ყურადღება. იგი მოურიდებლად ლაპარაკობდა გუნდში შექმნილ პრობლემებზე, შეიძლება ასეთი პირდაპირობა სხვებისთვის არ შეერჩინათ, მაგრამ „შეშლილს“ ვინ რას გაუბედავდა. ამასთან, პალერმო ხომ ყოველთვის სიმართლეს ამბობდა. „გუნდს არა სჭირდება მწვრთნელი – მეპატრონე. საჭიროა მესაჭე, რომელსაც შეუძლია ხომალდის მართვა, ხოლო თუ სადმე რამე გასკდა, მისი დროზე შეკეთებაც უნდა მოახერხოს. პალერმო ხშირად აკრიტიკებს თავის პარტნიორებს, მიუთითებს შეცდომებზე, მაგრამ საკუთარის დანახვაც შეუძლია და პირდაპირი აღიარებაც: „ადამიანი, როცა კი ცდება, მაშინვე მიხვდება ხოლმე, რა თქმა უნდა, ზოგს სერიოზული შეცდომები მოსდის, მაგრამ, როცა მთლიანად გუნდი ცდება, ამას ერთ რომელიმე მოთამაშეს ნუ დააბრალებენ... ყველაზე მეტად ჩემი გუნდი მაფიქრებს. ძალზე დიდი მუშაობაა საჭირო, ძალისხმევა, მთელი გულისყური. ჩვენ ხომ ორგანიზებაც გვაკლია და ყურადღებაც.“

„ბოკა ხუნიორსის“ მესვეურებმა გამოკითხვა ჩაატარეს კლუბის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენის მიზნით. პალერმომ ხმების 36 პროცენტი მიიღო და პირველ ადგილზე გავიდა, გილიერმო სკელეტო კი 29 პროცენტით მეორე ადგილზე გავიდა.

გასაგებია, რომ მარიო ბიელსა არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს, მან მყისვე მოუხმო მარტინ პალერმოს. აი იმან კი, ვის უნდა ეთამაშა (წინასწარი მონახაზით, რა თქმა უნდა) მასთან წყვილში, კამათი გამოიწვია. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას აზრით, ეს უნდა იყოს ბატისტუტა. არგენტინულმა გაზეთმა „ოლემ“ საინტერესო გამოკითხვას მიმართა და აი რა გაირკვა: გულშემატკივართა მხოლოდ 45 პროცენტი თვლის, რომ ბატისტუტა და პალერმო ერთმანეთს შეეგუებიან და მოახერხებენ ერთად თამაშს! „ელ ლოკოს“ ხომ მძიმე ხასიათი აქვს, და არც ბატისტუტა გამოირჩევა სწრაფად შეგუების უნარით. ამ მხრივ მასაც აქვს გარკვეული პრობლემები.

მას შემდეგ, რაც პალერმოს შემწეობით „ბოკა ხუნიორსმა“ ექვსწლიანი პაუზის შემდეგ არგენტინის ჩემპიონობა დაიბრუნა, კლუბის დირექტორატი ევროპელმა მწვრთნელებმა და საქმოსნებმა პირდაპირ ალყაში მოაქციეს მოთამაშე. რომის „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯიო გრანიოტიმ „ბოკა ხუნიორსს“ მარტინ პალერმოში 14 მილიონი დოლარი შესთავაზა. ნურას უკაცრავად, ცივი უარი მიიღო. სანამ ეს შესანიშნავი სნაიპერი „ბოკაში“ თამაშობს, კლუბს ყოველთვის ექნება არგენტინის ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობა. ევროპული კლუბებიც თანახმანი არიან მასში დიდი თანხა გადაიხადონ. მაინც რამდენი? გაზეთები არ აზუსტებენ, ისე კი, ზოგადად წერენ, რომ ლაპარაკია ასტრონომიულ რიცხვებზე. ერთი სიტყვით, ვაჭრობა გაგრძელდება და „ბოკა ხუნიორსი“ რაც უფრო მეტს მოითმენს, უფრო მოიგებს. ამასთან, ექსპერტები არ დავობენ, რომ საბოლოოდ მაინც პალერმო რომელიმე წამყვან ევროპულ კლუბს დარჩება.

რაც შეეხება არგენტინის ნაკრების მწვრთნელ მარიო ბიელსას, მისი ოპტიმიზმიც სრულიად გასაგებია. ხუმრობა ხომ არ არის, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის და მსოფლიო პირველობის წინ მისი თავდასხმის ძალა პირდაპირ გაორკეცდა.

ბიძი თორელი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ევროპული ჩემპიონატები



„ინტერი“ – „იუვენტუსი“. დიეგო სიმეონესა (მარცხნივ) და ზინედინ ზიდანის ორთაბრძოლა



„ნიუკასლი“ – „არსენალი“. ნიუკასლელთა გერმანელ ლეგიონერს დიტმარ ჰამანს გოლის გატანა პირველად ალან შირერმა მიულოცა

### იტალია. XXIII ტური

ნტერი-იუვენტუსი 0-0, რომა-მილანი -0, პიაჩენცა — ბოლონია 5-0, პარმა-ერუჯა 3-1, ვიჩენცა — ლაციო 1-2, ალერნიტანა — ფიორენტინა 1-1, ბარი — კალიარი 1-1, ემპოლი — სამპდორია 0-1, ვენეცია — უდინეზე 1-0.
**ლიდერობენ:** ლაციო (48), პარმა 44), ფიორენტინა (44), მილანი (43)

### ესპანეთი. XIV ტური

ატლეტიკო — ოვიედო 0-0, ბარსელონა — ვალენსია 2-4, ატლეტიკი — ელტა 0-0, ბეტისი - რეალი 3-2, მალიორკა — ტენერიფე 1-1, დეპორტივო — სოსიედადი 0-1, ვილიარეალი — ესპანიოლი 2-2, ვალიადოლიდი — სალამანკა 4-1, სარაგოსა — ესტრემადურა 3-1, რასინგი — ალავერი 2-0.
**ლიდერობენ:** ბარსელონა (44), მალიორკა (42), ვალენსია (40), სელტა 39).

### გერმანია. XX ტური

ფრაიბურგი — ვოლფსბურგი 0-0, კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი 1-1, დორტმუნდი — ნიურნბერგი 3-0, ჰანზა — ბაიერნი 0-4, მიუნხენ-1860 — დუისბურგი 0-0, ჰამბურგი — ბაიერი 0-0, აინტრახტი — გლადბახი 0-0, ვერდერი — ბოხუმი 1-1, შალკე-04 — ჰერტა 0-0.
**ლიდერობენ:** ბაიერნი (50), ბაიერი (38), კაიზერსლაუტერნი (38), მიუნხენ-1860 (36)

### ინგლისი. XXVIII ტური

ვესტ-ჰემი — ბლექბერნი 2-0, მანჩესტერი — საუთჰემპტონი 2-1, ჩელსი — ლივერპული 2-1, ასტონვილა — ქოვენთრი 1-4, ტოტენჰემი — დერბი 1-1, ჩარლტონი — ნოტინგემი 0-0, ევერტონი — უიმბლდონი 1-1, შეფილდი — მიდლსბრო 3-1, ნიუკასლი — არსენალი 1-1.
**ლიდერობენ:** მანჩესტერი (57), ჩელსი (53), არსენალი (50)

### ჰოლანდია. XXIII ტური

კამბური — ვაალვიკი — 2-2, ნაიმგენი — გრააფსჰაფი 1-1, რადა-ალკმაარი 8-2, ვილემ II — უტრეხტი 1-0, ეინდჰოვენი —ბრედა 2-0, ფეიენოორდი — ჰერენვენი 2-1, აიაქსი — მაასტრიხტი 5-1 (შოთა არველაძემ ორი გოლი გაიტანა)
**ლიდერობენ:** ფეიენოორდი (52), ვიტესი (44), როდა (40), აიაქსი (38)

# რა ხდება ჰოლანდიურ „ბარსელონაში“?

ის, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ თითქმის უიმედო მდგომარეობაში მყოფი „ბარსელონა“ შემდეგ არა თუ „მოულიერდა“, ქვეყნის ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტიც გახდა, მიმომხილველთა უმრავლესობას თითქმის მთლიანად ჰოლანდიელ ლეგიონერების დამსახურებად მიაჩნია, თუმცა არის სხვა აზრიც. კატალონელ გულშემატკივრებს აშკარად ეჩოთირებათ ის, რომ მათ საამაყო კლუბში (ისტორიულ მეტოქე მადრიდის „რეალს“ ასე დამაჯერებლად რომ თრგუნავს!) 12 ჰოლანდიელია: მეკარე რუდოლფუს ჰესპი, მცველები მიკაელ რაიციგერი, ვინსტონ ბოგარდი, ფრანკ დე ბური, ნახევარმცველები ფილიპ კოკუ, ბუდევეინ ზეიდენი, რონალდ დე ბური, თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი, მთავარი მწვრთნელი ლუი ვან გაალი და მისი თანაშემწეები კუმანი, ვან დერ ლემი და ჰუუკი.

ამავე დროს, კატალონელი ჟურნალისტები და, გნებავთ, გულშემატკივრებიც, ამხელა „ჰოლანდიურ ლეგიონს“ ნაწილებად ყოფენ. მათი აზრით, ერთი ნაწილი გუნდში აუცილებლად უნდა დარჩეს, რადგან დიდი სიკეთე მოაქვს. ესენია ჰესპი, რომელიც მშვენივრად იცავს კარს და „ბარსელონაში“ ახლახან ჩარიცხული ძმები დე ბურები. ოთხ ჰოლანდიელს (ზეიდენი, კოკუ, ბოგარდი და რაიციგერი) თუ კლუბს დაატოვინებენ, ამით „ბარსა“ არაფერს დაკარგავს. რაც შეეხება კლუივერტს, იგი ზოგს მოსწონს და ზოგს არა, რაც იმით აიხსნება, რომ თავდამსხმელი საკმაოდ არათანაბრად თამაშობს. ასეთი რამ მას ადრეც ემართებოდა, როცა „მილანის“ შემადგენლობაში გამოდიოდა. თვით კლუივერტს კი ბარსელონაში ყოფნა ძალიან მოსწონს: „გულშემატკივრების მხარდაჭერას თითოეული მოთამაშისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. წარმოუდგენელია მილანში უყვარდეთ და ტაშს გიკრავდნენ,თუკი გოლები არ გაგაქვს. აქ კი ღირსეულად აფასებენ შენს მოქმედებას მინდორზე, თუკი გუნდისთვის სიკეთე მოგაქვს“. ამავე დროს კლუივერტი ფრთხილობს: „ძალზე სახიფათოა, რომ გუნდში ამდენი ჰოლანდიელია. თუკი საქმე ცუდად წავა, მაშინ სწორედ ჩვენ გაგვამტყუნებენ. გასაგებია, ადგილობრივი გულშემატკივრები მიიჩნევენ, რომ ამდენი ლეგიონერი საჭირო არ არის. მეც იგივეს ვიტყოდი, რომ „აიაქსში“ 8 ესპანელი გამოდიოდეს“. ჰოლანდიელ მოთამაშეებს „ბარსელონაში“ მხოლოდ ერთი რამ უმაგრებს ზურგს: მათივე თანამემამულე მწვრთნელ ვან გაალის სრული მხარდაჭერა. სწორედ ეს მხარდაჭერა არა აქვს, ვთქვათ, ბრაზილიელ სონი ანდერსონს, რომელიც ნამდვილი თავდამსხმელია, მაგრამ რახან ძირითად დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებს, ცხადია, ვერ ახერხებს მთელი თავისი შესაძლებლობის გამოვლენას. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ კლუბის პრეზიდენტი ნუნიესი ანდერსონის „მონაკოსათვის“ გადაცემას აპირებს, თუმცა თავის დროზე მისი ყიდვა 31 მილიონი დოლარი დაუჯდა.



ვან გაალი

ძმები დე ბურები „ბარსელონაში“ თავს მშვენივრად გრძნობენ. აი, რა განაცხადა რონალდ დე ბურმა: „მე აქ ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში, ისევე როგორც „აიაქსში“. ეს იმიტომ ხდება, რომ „ბარსაში“ არიან მოთამაშეები, რომლებიც 1995 წლის „აიაქსს“ მაგონებენ, იმ გუნდს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა“. ფრანკ დე ბურიც იგივეს ამბობს: „მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში მიმიჩინა ადგილი და, ცხადია, მას არავის დავუთმობ“.

„ჰოლანდიზაციის“ მსხვერპლები ამათუიმ სახით არიან ძმები ოსკარ და როხერ გარსიები, მიგელ ანხელ ნადალი, ალბერტ სელადესი და სხვები. გავიხსენოთ ცნობილი პორტუგალიელი მეკარე ვიტორ ბაიაც. მას შემდეგ, რაც მან ტრავმა მიიღო, ჰოლანდიელი ჰესპი მიიწვიეს. როცა ბაია გამოჯანმრთელდა, კარი მაინც არ ანდეს და კლუბის დატოვება მოუხდა. „ბარსელონაში“ ყოფნა ბაიამ თავისი ცხოვრების „შავ პერიოდად“ ჩათვალა.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, „ჰოლანდიზაცია“ კლუბის მესვეურებს ძალიან ძვირად დაუჯდათ. — 8 მილიარდ 490 მილიონ პესეტად (დაახლ. 61 მილიონ დოლარად). უფრო კონკრეტულად: ჰესპში გადაიხადეს 1,4 მილიონი დოლარი, ბოგარდსა და რაიციგერში — 5, 35 მილიონი თითოეულში,

ძმებ ბურებში — 22,5 მილიონი, ზეიდენში — 5,75, კლუივერტში — 20 მილიონი დოლარი. ის კია, რომ კოკუ კლუბს ერთი ცენტიც კი არ დაუჯდა.

ერთი სიტყვით, კატალონური კლუბის გულშემატკივრები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთ ნაწილს ის შედეგი, რომელიც კლუბს აქვს, სავსებით აკმაყოფილებს. მეორენი თვლიან, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ასეთ შედეგებს „ბარსელონა“ ადგილობრივი მოთამაშეებით მიაღწევს. მათ შორის კამათი, პოლემიკა სისტემატურ ხასიათს ატარებს. „ადგილობრივობის“ მომხრეები „ნოუ კამპის“ სტადიონზე ტრანსპარანტებით სისტემატურად მოდიან: „თავი დავაღწიოთ ჰოლანდიელთა ზეწოლას“, „ბოლო მოვუღოთ ჰოლანდიზაციას“ და ა.შ. ამ ჯგუფს ემხრობა „ბარსელონას“ სპორტული საზოგადოების პრეზიდენტი ხორდი პუჟოლი: მოგვწონს, როცა „ბარსელონა“ იგებს. მაგრამ, მეორე მხრივ, თავს მოტყუებულად ვგრძნობთ იმის გამო, რომ მწვრთნელები კარგ ფეხბურთელებს (იგულისხმე — ადგილობრივებს) იწუნებენ“. მის წინააღმდეგ გამოვიდა „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტი ჟოან გასპარტი: „ახალი წლის წინ პუჟოლი მოითხოვდა, რომ გუნდს გამარჯვებისათვის მიეღწია. პრეზიდენტ ნუნიესს, როგორც ბარსელონელს, იგივე უნდა. მაგრამ არა მგონია, რომ ვინმემ მხარი დაუჭიროს კატალონურ უმრავლესობას, როცა გუნდს წარმატება არ ექნება“.

ბევრს აღიზიანებს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ „ბარსელონას“ მოთამაშეები მინდორზე გამოდიან ნარინჯისფერი მაისურებით (ეს კი ჰოლანდიის ნაკრების ფორმაა).

ერთი სიტყვით, „ბარსელონას“ ჰოლანდიური ლეგიონის მდგომარეობა მეტისმეტად არამყარია. მას ითმენენ მანამდე, სანამ „ბარსელონა“ იმარჯვებს, მაგრამ როდემდე გაგრძელდება კლუბის ასეთი წინსვლა? ისიც ცხადია, რომ გაალს უკვე აქვს „ზოგი რამ“ ნაკლი: „ბარსელონა“ კარგა ხანია გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას, სულ ახლახან კი — ესპანეთის თასს. რჩება მხოლოდ ერთი რამ: რადაც უნდა დაუჯდეს, კლუბი ესპანეთის ჩემპიონი უნდა გახდეს.

## ლინარესის სუპერტურნირზე

უდიდეს ინტერესს იწვევს ლინარესის სუპერტურნირი 8 უძლიერესი მონაწილით (2 წრედ). აქ ხომ ყველა წამყვანი დიდოსტატი გამოდის სულ სამი მოჭადრაკის გამოკლებით: მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი (რომელიც აღარ მონაწილეობს იმ შეჯიბრებებში, სადაც გარი კასპაროვი თამაშობს), მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ალექსეი შიროვი (წაეჩხუბა ლინარესის ტურნირის ორგანიზატორ ლუის რენტეროს) და დიდად ნიჭიერი ალექსანდრ მოროზევიჩი.

ლინარესში ასპარეზობის პირველი ნახევრის შემდეგ ბევრი საინტერესო რამ მოხდა. საკმაო ინტრიგით გამოირჩეოდა კასპაროვ-ანანდის პირველი პირადი შეხვედრა. კასპაროვმა თეთრებით ორი პაიკის შეწირვით, უძლიერესი შეტევა მიიღო, მაგრამ ძლიერ ცაიტნოტში შეცდა და ყაიმს დასჯერდა. 4 ტურის შემდეგ სამი ქულით (მოუგო პეტერ ლეკოსა და ვასილი ივანჩუკს)) ერთპიროვნულად ლიდერობდა ინგლისელი მაიკლ ადამსი, მაგრამ მეხუთე და მეექვსე ტურებში მან ჯერ კასპაროვთან წააგო, შემდეგ კი კრამნიკთან,

6 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლა კასპაროვმა, რომელსაც 2 მოგება და 4 ყაიმი აქვს. 3,5 ქულა ორმა მოჭადრაკემ მოაგროვა: ანანდმა და კრამნიკმა. ლინარესის შარშანდელმა გამარჯვებულმა ინდოელმა ანანდმა მისთვის უჩვეულო ფრთხილი სტილით დაიწყო შეჯიბრება და პირველი 5 პარტია ზედიზედ ყაიმით დაასრულა, მაგრამ მეექვსე შეხვედრაში დაამარცხა რუსეთის წარმომადგენელი პეტრე სვიდლერი. კრამნიკს ასევე 5 ყაიმი და 1 მოგება აქვს.

## ქობალიამ კვლავ მშვენივრად ითამაშა

მოსკოველი დიდოსტატი მიხეილ ქობალია, რომელსაც მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში წარმატებები ჰქონდა, აგრძელებს გამარჯვებების გზას.

20 წლის დიდოსტატმა მონაწილეობა მიიღო გამოჩენილ მოჭადრაკე ეფიმ გელერის (რომელიც, როგორც ვიუწყებოდით, შარშან გარდაიცვალა) პირველ მემორიალში, რომელშიც 200 მონაწილეს შორის 20 დიდოსტატი იყო და 60 საერთაშორისო ოსტატი, ბრძოლა შვეიცარული სისტემით მიმდინარეობდა, 9 ტურად.

7,5 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს მიხეილ ქობალიამ და ალექსანდრ რუსტემოვმა.

## „მარადონა ჩვენთან არ იმუშავებს“

განაცხადა ქუვეითის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა შეიხ ახმედ ალ-ფახდ ალ-ახმედ ალ-საბახმა.

— მართალია, ვეძებთ ახალ მწვრთნელს ეროვნული ნაკრებისათვის, მაგრამ ამ კანდიდატურებს შორის მარადონა არ არის.

შეიხის ეს განცხადება მოჰყვა მარადონას ერთ-ერთ ინტერვიუს იტალიურ პრესაში, სადაც იგი ამბობდა, რომ ქუვეითის მიწვევა აქვს.

## როცა ოპერაცია აუცილებელია

„ასტონ ვილა“ არც ისე დიდი ხნის წინათ ინგლისის პრემიერ-ლიგის ლიდერი იყო, ახლა კი ძალიან უჭირს. მას გამოაკლდა მთავარი სნაიპერი დაიონ დაბლინი, რომელსაც თიაქარის ოპერაცია ელის. იგი მინდორზე თვენახევრის შემდეგ თუ დაბრუნდება.

დაბლინს არ უნდოდა ოპერაციის გაკეთება, აპირებდა როგორმე ეთამაშა სეზონის ბოლომდე, მაგრამ გუნდის მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ აიძულა ემკურნალა.

## სულ სამ თვეს გაუძლო

სულ სამ თვეს იმუშავა ცნობილმა ბელგიელმა მეკარემ ჟან-მარი პფაფმა მწვრთნელად კლუბ „ოსტენდეში“, რომელიც ბელგიის უმაღლეს ლიგაში გამოდის, მძიმე სიტუაცია შეიქმნა და იგი თანდათან უკანასკნელ ადგილამდე დაეშვა.

ასეთ ვითარებაში პფაფს მისმა დიდმა სახელმაც ვერ უშველა და მას „ოსტენდეს“ დატოვება მოუხდა.

## ძმები ტოვებენ „ბარსელონას“

ძმები ოსკარი და როხერ გარსიები მალე დატოვებენ „ბარსელონას“. 22 წლის როხერი, რომელიც შარშან ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა და ევროპის ჩემპიონი გახდა, „მონაკოში“ გადადის, ხოლო ოსკარი „ჩელსიში“ სადაც, უკვე თამაშობს მისი ყოფილი პარტნიორი ალბერტ ფერერი. როხერის ტრანსფერი დაახლოებით 5 მილიონი დოლარი დაჯდება, ხოლო თუ რამდენს მიიღებს კლუბი ოსკარის გაყიდვისათვის, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

# 10 ცნობილი სპორტსმენი... ბისოსებს მიღმა

**ამ უსიამო რეიტინგს სათავეში უდგას:**

**1. მაიკ ტაისონი,** ყველაზე ფათერაკიანი ათლეტი სპორტის ისტორიაში. 1991 წელს „მის შავი ამერიკის" კონკურსის მონაწილის გაუპატიურებისათვის აღმოჩნდა საპყრობილეში, სამნახევარი წლის შემდეგ პირობით გაანთავისუფლეს ვადამდე. შარშანწინ რინგზე ბრძოლაში ყური მოაკვნიტა მეტოქე ევანდერ ჰოლიფილდს, მაგრამ მაშინ ფსიქიატრიული ვითარების გამო შეინდეს. თებერვლის დასაწყისიდან კი, როგორც ცნობილია ახალ სასჯელს იხდის.

**2. ეჟი პავლოვსკი** მსოფლიო ფარიკაობის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ხმლით მოფარიკავე, 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, პოლონეთის არმიის პოლკოვნიკი საზღვარგარეთის დაზვერვასთან თანამშრომლობაში ამხილეს და 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 10 წელი იჯდა ციხეში.



*ტაისონი კარგად ნაცნობ გზას გაუყენეს...*

**3. ედუარდ სტრელცოვი.** გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელი 1954-58 და 1965-70 წლებში თამაშობდა მოსკოვის „ტორპედოში", და სსრ კავშირის ნაკრებში (1955-1958, 1966-1968 წ.წ.) იყო 1965 წლის სსრკ ჩემპიონი და 1968 წლის თასის მფლობელი. 1955 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 1967-68 წლების ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი. 1958 წელს დააპატიმრეს გაუპატიურების ბრალდებით. 8 წელიწადი იჯდა ციხეში.

**4. თომას ლეიუსი.** ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ჩოგბურთელი, ქვეყნის ათ-გზის ჩემპიონი. აფექტით აღგზნებულმა დაახრჩო ცოლი და სამნახევარი წელიწადი (1974-77 წ.წ.) გაატარა ციხეში.

**5. დიულა ჟივოცკი.** უნგრელი უროსმტყორცნელი. 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ, მექსიკაში პრეს-კონფერენციაზე კითხვაზე როგორ შეძლო ასე შორს უროს ტყორცნა, უპასუხა: „ნამგალი რომ მომცენ უფრო შორს გადავაგდებდი." შინ დაბრუნებისთანავე მას სასამართლო პროცესი ელოდა.

**6. იური სევიდოვი.** სსრ კავშირის ჩემპიონატის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს უმაღლესი ლიგის გუნდებში, ჯერ კიშინიოვის „მოლდოვაში", შემდეგ მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდა. იგი სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელია, მოპოვებული ჰქონდა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. 1965 წელს მანქანით გაიტანა აკადემიკოსი რიაბჩიკოვი, მიუსაჯეს 10 წელიწადი. ოქტომბრის რევოლუციის 50 საიუბილეო წლის აღსანიშნავ ამნისტიით გაუნახევრდა სასჯელი. 1970-72 წლებში ალმა-ათის „ყაირათში" თამაშობდა.

**7. ალექსანდრ ალიოხინი.** გენიალური რუსი მოჭადრაკე. 1917 წელს მსოფლიო ჩემპიონი ოდესაში ჩკ-ამ თავადიშვილური წარმოშობის საბაბით დააპატიმრა. საქმე მის დახვრეტამდე მივიდა, და ლევ ტროცკის ჩარევამ იხსნა სიკვდილისაგან. შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და მსოფლიო ჩემპიონობის 4 მატჩი მოიგო.

**8. ტანჟუ ჩოლაკი.** თურქეთის ფეხბურთის საუკეთესო ფორვარდი.

1988 წელს ქვეყნის ჩემპიონატში 39 გოლი გაიატანა და ევროპის სნაიპერის „ოქროს ბუცი" მიიღო. 1993 წელს ამხილეს „მერსედესის" გადამყიდველობაში. სასამართლოს მსვლელობაში გაიპარა მაკედონიაში, სადაც თამაშობდა ერთ-ერთ კლუბში. დაუსწრებლად მიუსაჯეს 9 წელი და 4 თვე პატიმრობა. შემდეგ სასჯელი 22 თვემდე დაუყვანეს. 1994 წელს დააპატიმრეს მაკედონიაში.

**9. რენე იგიტა.** ერთ-ერთი საუკეთესო სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი – კოლუმბიელი. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თვალსაჩინო მოთამაშე. 7 თვით ჩასვეს ციხეში ნაქურდალი საქონლის გაყიდვისათვის.

**10. მარკუს უები.** ამერიკელი კალათბურთელი, თამაშობდა „ბოსტონ სელტიქსში". გამოდიოდა საფრანგეთის, თურქეთისა და მოსკოვის ცსკა-ს კლუბებში. ახალგაზრდობაში მოიხადა სასჯელი გაუპატიურებისათვის.

# ყოფილმა ჩეხმა მოუგო ყოფილ კანადელს

კვირას ლონდონში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი. რუს ჩოგბურთელ ევგენი კაფელნიკოვს წარმატების შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდა მსოფლიოს №1 ჩოგანი გამხდარიყო, გაესწრო პიტ სამპრასისათვის, რომელიც ახლა მკურნალობს, მაგრამ ორი მოგების შემდეგ დამარცხდა შვედ თომას იუჰანსონთან.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ყოფილი ჩეხი, ამჟამად ჰოლანდიის წარმომადგენელი რიჰარდ კრაიჩეკი და ყოფილი კანადელი, ამჟამად ინგლისის უძლიერესი ჩოგბურთელი გრეგ რუსედსკი. მათი ორთაბრძოლა 2 საათსა და 5 წუთს გაგრძელდა. ანგარიშით 7:6, 6:7, 7:5 გაიმარჯვა კრაიჩეკმა.

# „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*28 თებერვალს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მერვე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

**2. 15. 23. 24. 26. 33.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 694.80 ლარი.
4 ციფრი – 36.40 ლარი.
3 ციფრი – 1.80 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 42 140 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **6. 3. 9. 4. 3. 8. 3.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 7 მარტს, ჯეკ-პოტი **42 140** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი




**2 მარტი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „არსენალი" (თბილისი) – „დინამო" (თბილისი). ვიდეოჩანაწერი – (0.00). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25); ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45); ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.45), მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები. იოჰან კრუიფი (15.45), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.00). ინგლისის ჩემპიონატი. „ლესტერი" – „ლიდსი" (17.00). იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.15). ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.40), შოტლანდიის ჩემპიონატი. მატჩი №1 (21.40), ჰოლანდიის ჩემპიონატი. მატჩი №1 (23.20); ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (0.00, 18.30, 21.30). კალათბურთი. ნბა (4.30, 6.30, 13.00); ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა (17.00, მიმოხილვა). ჰოლანდიური ფეხბურთი (23.30); ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (12.00); ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი (13.00); სუმო. ტოკიოს დიდი ტურნირი (0.00). ფეხბურთი. ევროგოლი (2.00). კრივი საფრანგეთიდან (3.30).

**3 მარტი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი (23.45); ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.15); ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.40); შოტლანდიის ჩემპიონატი. მატჩი №1 (15.40), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.15). შოტლანდიის ჩემპიონატი. მატჩი №2 (19.40); მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები, ფერენც პუშკაში (21.15); ჩემპიონთა ლიგის წინ (23.10); ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. „რეალი" (მადრიდი) – „დინამო" (კიევი). პირდაპირი ტრანსლაცია (23.35). ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) – „ინტერი" (იტალია) (1.35). ***НТВ плюс спорт. ESPN.*** ფეხბურთი. უეფა ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (4.30, 23.00, 23.30); კალათბურთი. ნბა (5.00, 12.00, 18.30, 21.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (11.30, 21.30); სუმო. ტოკიოს დიდი ტურნირი (23.30). კრივი. აშშ-ის მძიმეწონოსნების ასპარეზობა (0.30); ფეხბურთი. უეფა. მეოთხედფინალის ფრაგმენტები. (1.10); მსოფლიოს თასის გათამაშების ლეგენდები (3.30).

**4 მარტი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ – „გურია" (ლანჩხუთი) – 0.05, ვიდეოჩანაწერი; ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25); ***კავკასია.*** „ვარსკვლავები". (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05); ***ევრიკა.*** ფეხბურთის ლეგენდები (21.45). ***OPT.*** ფეხბურთი. ევროპის თასების თასი. 1/4 ფინალი. „ლოკომოტივი" – „მაკაბი" (ისრაელი) (22.50). კალათბურთი. ევროლიგა. ვაჟები (21.30); ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი. მატჩი №2; მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები. ფერენც პუშკაში (14.50). ჩემპიონთა ლიგა. „რეალი" (მადრიდი) – „დინამო" (კიევი) (15.10), „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) – „ინტერი" იტალია (17.05); „ბავარია" (გერმანია) – „კაიზერსლაუტერნი" (გერმანია) – 19.15, ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.10), „იუვენტუსი" (იტალია) – „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) (23.00). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ლინარესის ტურნირი (15.05). ფეხბურთი. უეფას თასი (21.00).

**5 მარტი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „მერანი" (თბილისი) – „დინამო" (თბილისი) – (0.15), ვიდეოჩანაწერი. ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25); „ვარსკვლავები" (17.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***НТВ плюс футбол.*** „ბავარია" (გერმანია) – „კაიზერსლაუტერნი" (გერმანია) (13.15), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.10), ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი" (იტალია) – „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) (17.00); ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩები (20.50), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (22.55). ***НТВ плюс спорт.*** HXL-ის კვირეული (17.55), ჭადრაკი. ლინარესის ტურნირი (2.10). ***ESPN.*** ფეხბურთი. უეფა. 1998-99 წ.წ. (0.30), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (6.00), უეფა. ჩემპიონთა ლიგა (7.00), უეფა-ს თასზე გამარჯვებულები (15.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასი (1.30).

**6 მარტი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ვიტ-ჯორჯია" (თბილისი) – „არსენალი (თბილისი) (18.45). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25); ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი". ქართული სპორტის პრობლემები (19.45). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (13.15). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩი (14.15); გერმანიის ჩემპიონატი (პირდაპირი რეპორტაჟი, 18.25); მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მატჩი III ადგილისათვის: ჰოლანდია – ხორვატია (21.30). ლათინური ამერიკის ქვეყნების მატჩების მიმოხილვა (23.00); ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.55). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ლინარესის ტურნირი (0.30); ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (4.30, 5.00, 7.30, 15.00); ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა „ოლიმპიაკოსი" – „იუვენტუსი" (10.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასი (11.30, 21.30).

**7 მარტი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** სუპერმატჩი (20.20). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30); ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55); ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (18.00); ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***ევრიკა.*** კვირის სპორტი (17.00). რუსეთის ტელევიზია. ***TV спорт.*** „ფორმულა-1". მსოფლიოს ჩემპიონატი (6.45, 16.50); ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატი (15.45), იტალიის ჩემპიონატი (პირდაპირი რეპორტაჟი (17.55), მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატი. ფინალი: ბრაზილია – საფრანგეთი (20.25), იტალიის ჩემპიონატი: „სამპდორია" – „იუვენტუსი" (პირდაპირი რეპორტაჟი, 23.25). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი.. ლინარესის სუპერტურნირი (12.10); ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (5.00). ფეხბურთი. უეფას თასი 1998-99 წ.წ. (7.00), ინგლისის პრემიერლიგა (10.00, 12.00), უეფა. ჩემპიონთა ლიგა: „კაიზერსლაუტერნი" – „ბაიერნი" (14.00). ***EUROSPORT.*** კრივი (1.00), კიკბოქსინგი (2.00), საცხენოსნო სპორტი (3.00).

# რამაზ კუპრაშვილი



ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ვეტერანების რიგებს გამოაკლდა სპორტის ოსტატი რამაზ კუპრაშვილი. დაიბადა 1946 წელს ქუთაისში. იქვე დამსახურებულ მწვრთნელ ილია ბობოხიძის მიერ შექმნილ ჭიდაობის „ქუთათურ სკოლაში" ეზიარა ფალავნობას. იმ სკოლაში, რომელმაც ქართულ ჭიდაობას მისცა შესანიშნავი სახელები: ზაურ შეყრილაძე, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ აფხაზავა და სხვა ტიტულოვანი ფალავნები, რომლებმაც საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობებში მრავალჯერ ასახელეს რიონისპირა ქალაქი. ნიჭიერმა ჭაბუკმა მალე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება, რომელსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ პირველობაზე ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა ანდეს და მან მეორე პრიზიორის საპატიო წოდება მოიპოვა. შემდეგ მრავალგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. საჭიდაოზე რაინდულ თვისებებს ნაზიარებმა ყმაწვილმა ცხოვრებაში ლამაზად იცხოვრა. არ ივიწყებდა მეგობრებს, მუდამ მხარში ედგა მათ, დახმარების ხელის გაწვდომა იცოდა. განსაკუთრებით დაამახსოვრდათ იგი ამ მხრივ, როცა ბიზნესს მოჰკიდა ხელი და ნიადაგ ეხმარებოდა ახალგაზრდა მოჭიდავეებს.

ვისაც კი თამაზ კუპრაშვილთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია, დავიწყებას არასდროს მისცემს მის ხსოვნას.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია,
საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი".

# ინგლისელთა მილიონები

*ინგლისის სპორტის ვარსკვლავთა შემოსავლები მჭიდროდ მიუახლოვდა მსოფლიო სპორტის ბაზრის ლიდერებს. პირველ ადგილზე ყველაზე მდიდარ სპორტის ვარსკვლავთა შორის გოლფის მოთამაშე ნიკ ფალდოა, რომლის ქონება 41 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, მას მისდევს მოკრივე ლენოქს ლიუისი — 38 მილიონი, ავტომრბოლელები ნაიჯელ მენხელი — 36 და დეიმონ ჰილი — 21, მოკრივე ნაზიმ ხამედი — 19,5, გოლფისტი იან უსნემა — 18, მეშვიდეა ფეხბურთელი ალან შირერი — 17,5, ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავს მაიკლ ოუენის ანგარიშზეა ბანკში 7 მილიონი. სულ მდიდარი სპორტსმენების 50-კაციან სიაში 12 ფეხბურთელია. ტრადიციულად, გოლფი, მოტორბოლა და კრივი რჩება მაღალანაზღაურებად სახეობებად, მაგრამ სულ მალე ლიდერობას ფეხბურთი იგდებს ხელში.*

*მდიდარმა საფეხბურთო კლუბმა „ასტონ ვილამ" ბოლო 7 თვეში გაიღო 31 მილიონი გირვანქა სტერლინგი ფეხბურთელთა შესაძენად. მას ძალიან სჭირდებოდა 10 მილიონად ეყიდა ბრაზილიელი ჟუნინიო, საქმე თითქმის მოგვარებული ჰქონდა, მაგრამ გზა გადაუღობა „მიდლსბრომ" — ნახევარმილიონით მეტი შესთავაზა „ატლეტიკოს", თვით ფეხბურთელს კი ყოველკვირეულად 50 ათას გირვანქა სტერლინგს ჰპირდა. ფეხბურთელი მზად იყო დაბრუნებულიყო ინგლისურ კლუბში, მაგრამ „ატლეტიკოს" მწვრთნელმა ა. სანჩემ განაცხადა, რომ ჟუნინიო არსად წავა, რადგან იგი სჭირდება გუნდს. იმასაც ამბობენ, რომ ესპანელები მაზნდას უწევენ და მოთამაშე სურთ ინგლისელებს იმ ფასად მიჰყიდონ, რაც მასში გადაიხადეს — 12 მილიონი.*

**საჭადრაკო ამოცანა**

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)




**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ეg6!
1. ...d4 2. ლh2X.
1. ...de 2. ეg5X.
1. ...მფd6 2. ლ:d5X.




# დამთხვევების კროსვორდი (მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, 1998 წ.)

**თარაზულად:** 5. ქვრივის პატრონი ტელესერიალში (მექსიკელი ფეხბურთელი), 6. დაბა სამხრეთ საქართველოში (ბელგიელი ფეხბურთელი), 7. ადამიანის სხეულის გარე ქსოვილი (გერმანელი ფეხბურთელი), 10. შტატი აშშ-ში (ჩილელი ფეხბურთელი), 11. სხეული ანუ... (გერმანელი ფეხბურთელი), 12. ჩემპიონატში მონაწილე ქვეყანა, 13. ქალაქის თავი (ნორვეგიელი ფეხბურთელი), 14. ქიზიყში მამაკაცები მიმართავენ ერთმანეთს (იაპონელი ფეხბურთელი), 16. გალინას მიმართავენ შინაურულად (რუმინელი ფეხბურთელი), 20 გაფრთხილება ძიუდოში (კორეელი ფეხბურთელი), 21. სასტუმროს ინტერიერი (იამაიკელი ფეხბურთელი), 22. სოფელი ქარელის რაიონში (პარაგვაელი ფეხბურთელი), 23. სახლი ქალაქგარეთ (მექსიკელი ფეხბურთელი).

**შვეულად:** 1. უმაღლესი სამხედრო ჩინი (გერმანელი ფეხბურთელი), 2. უღელტეხილი და გვირაბი კავკასიონზე, 3. რაიონი დასავლეთ საქართველოში (კორეელი ფეხბურთელი), 4. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი (საფეხბურთო კლუბი), 8. უმაღლესი სათავადაზნაურო ტიტული ევროპაში (ავსტრიელი ფეხბურთელი), 9. ბენზინგასამართი ფირმა თბილისში (იუგოსლაველი ფეხბურთელი), 15. მცველი ფეხბურთში, ჰოკეიში (ბელგიელი ფეხბურთელი), 17. ძველი უბანი თბილისში (კამერუნელი ფეხბურთელი), 18. მოშურნე გაუმაძღარი (საუდის არაბეთის ფეხბურთელი), 19. ასლი ანუ (სამხრეთ აფრიკელი ფეხბურთელი).

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:**

1. „პარმა", 2. მაკინლი, 3. „გალათასარაი", 4. ბოიდი, 5. დუშამპი, 6. „ანტლერსი", 7. ხონი, 8. რეკდალი, 9. კოლდინგი, 10. დოსარი, 11. ჩერნი, 12. როხასი, 13. მური, 14. კანისა, 15-ესტეი, 16. რაინმაიერი, 17. გერერო, 18. მარიჩი, 19. „აიაქსი", 20. „ბორუსია", 21. „ვალენსია", 22. სეკი, 23. ესტელელი, 24. ადამსი, 25. შაპრუდი, 26. ზიდანი, 27. ლაპუენტე, 28. სიმპსონი, 29. იანგი, 30 ილიე, 31. სურაჯი, 32. დელგადო, 33. ჩიპი, 34. მამიჩი.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე